ევროკავშირი
საქართველოსთვის

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში

(2022-2023 წლების შეფასების ანგარიში)

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში

(2022-2023 წლების შეფასების ანგარიში)

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2024

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის „სასამართლო რეფორმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის ხელშეწყობა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მრავალმხრივი ქმედებით ფასილიტაცია“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე

კვლევის ავტორი: ანა პაპუაშვილი

კვლევის თანაშემწე: ქეთი კოშორიძე

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ყდის დიზაინი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ანა პაპუაშვილი, „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში, 2022-2023 წლის შეფასების ანგარიში“, 2024*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 6

ძირითადი მიგნებები 7

I. საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემაში შესული ცვლილებები 10

II. სამართლებრივი რეგულირება და სტატისტიკური ინფორმაცია 14

III. საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემის ხარვეზები 18

3.1. მოსამართლეთა დატვირთულობა და მოსამართლეებს შორის საქმეთა თანაბარი განაწილება 19

3.2. მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობის განსაზღვრა 23

3.3. საქმეთა განაწილების შეჩერების/სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევები 24

3.4. მოსამართლის აცილება/თვითაცილება 25

3.5. მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრა 26

3.6. ელექტრონული სისტემის დროებით შეფერხება 27

3.7. საქმეთა განაწილების სისტემის ორგანიზაციული უზრუნველყოფა 28

3.8. საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში ზეგავლენის მოხდენის რისკები .. 29

დასკვნა და რეკომენდაციები 31

შესავალი

საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის შემუშავება სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში დანერგილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე იყო. წესი, რომელიც საერთო სასამართლოების სამივე ინსტანციაში ელექტრონული პროგრამის საშუალებით საქმეთა შემთხვევითად განაწილებას გულისხმობს, 2017 წლის 31 დეკემბრიდან მთელი საქართველოს მასშტაბით ამოქმედდა[1] და საწყის ეტაპზე საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან დადებითი შეფასებები დაიმსახურა. საქმეთა განაწილების ახალ წესს საქმეთა განხილვის მიუკერძოებლობა, პროცესის გარე ჩარევებისგან დაცვა და მართლმსაჯულების დამოუკიდებელი, დროული და ეფექტიანი განხორციელება უნდა გაეუმჯობესებინა. ამასთანავე, რამდენადაც საქმეთა განაწილების ხარვეზიანი სისტემა ინდივიდუალური მოსამართლის საქმიანობაში ჩარევის ერთ-ერთი უხეში ბერკეტია და საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობას, შემთხვევითად განაწილების წესის დანერგვა, ამავე დროს, მოსამართლეთა შიდა და გარე გავლენებისგან დაცვის, საქმეთა განაწილების პროცესზე მანიპულირებისა და ხელოვნური ჩარევის რისკების შესამცირებლად, ერთ-ერთი არსებითი ინსტიტუციური გარანტიაც უნდა ყოფილიყო.

რეფორმის უდიდესი მნიშვნელობის და საწყისი პოზიტიური შეფასებების მიუხედავად, საქმეთა განაწილების სისტემაში, დანერგვის პროცესში კვლავ რჩებოდა არაერთი ხარვეზი და ბუნდოვანება. თუმცა სისტემის ამოქმედებიდან დღემდე განხორციელებული სამართლებრივი ცვლილებებისა და პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ მისი შემდგომი რეფორმირება და არსებითად დახვეწა არ მომხდარა. შესაბამისად, პრობლემათა დიდი ნაწილი კვლავ აქტუალურია. რეფორმის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ სისტემის დახვეწისა და შემთხვევითი პრინციპის დაუცველად განაწილებული საქმეების წილის შემცირების აუცილებლობაზე მიუთითა ევროკომისიამ თავის 2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიშშიც, რომლითაც საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გაიცა.[2]

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად სასამართლო სისტემის მზარდად ჩაკეტილობის პარალელურად, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუარესდა საქმეთა განაწილების სისტემის გამჭვირვალობის ხარისხიც. საანგარიშო პერიოდში არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის აუცილებელი სტატისტიკური ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საერთოდ არ გასცა და პროექტის გუნდის არაერთი მიმართვის მიუხედავად, ანგარიშის მომზადების პერიოდში ეს მიდგომა უცვლელად შეინარჩუნა. სასამართლო სისტემის საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის ვალდებულების ამგვარი აშკარა

[1] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ (ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/weEraxTT ; წვდომის თარიღი: 30.06.2024).

[2] Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report Accompanying the document, Brussels, 8.11.2023 SWD(2023) 697 final, გვ. 22-23, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/UednwtMI ; წვდომის თარიღი: 30.06.2024).

უგულებელყოფა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას და შეუძლებელს ხდის როგორც მთლიანად სისტემის, ისე საქმეთა განაწილების პროცესის ეფექტიან მონიტორინგს.

წინამდებარე დოკუმენტი, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ მომზადებული რიგით მეოთხე[3] მონიტორინგის ანგარიშია, რომელიც მიზნად ისახავს 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში შესული ცვლილებების, განახლებული მონაცემების და ამ მხრივ სასამართლო სისტემაში კვლავ არსებული გამოწვევების ანალიზსა და შეფასებას. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ხარვეზების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც წინა საანგარიშო პერიოდებში გამოვლინდა, კვლავ შენარჩუნებულია, დოკუმენტი მნიშვნელოვნად ეყრდნობა წინა წლებში ამავე თემაზე მომზადებულ ანგარიშებს, ასევე ევროპული ინტეგრაციის პროცესში ევროკომისიის მიერ საქართველოზე მომზადებულ ანგარიშებს, სადაც სასამართლო რეფორმის შეფასება და ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა, მათ შორის, საქმეთა განაწილების სისტემის რეფორმირების აუცილებლობაზეც მიუთითებს.

[3] პირველი მონიტორინგის ანგარიში - „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019 (ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/ueErsggY; წვდომის თარიღი: 30.06.2024). ანგარიში მოიცავს პერიოდს სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ცვლილებების ამოქმედებიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე; მეორე მონიტორინგის ანგარიში - „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020 (ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/QeErd7mJ ; წვდომის თარიღი: 30.06.2024). ანგარიში მოიცავს 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. მესამე მონიტორინგის ანგარიში - სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საქმეთა ელექტრონული სისტემის განაწილებს საქართველოში“, 2020-2021 წლების შეფასების ანგარიში, 2022 (ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/ZednwIor ; წვდომის თარიღი: 30.06.2024). ანგარიში მოიცავს 2020 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის ანგარიში 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. ანგარიშზე მუშაობისას პროექტის გუნდმა კვლევისა და ინფორმაციის მოძიების რამდენიმე მეთოდი და წყარო გამოიყენა:

კანონმდებლობისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების ანალიზი – მონიტორინგისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო წინა მონიტორინგის ანგარიშების შემდეგ განხორციელებულ ცვლილებებზე დაკვირვება, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის კანონმდებლობით დელეგირებულ საკითხებზე თავად საბჭოს გადაწყვეტილებების შეფასება;

საჯარო ინფორმაციის დამუშავება – პროექტის გუნდმა გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან, საქალაქო/რაიონული, სააპელაციო სასამართლოებიდან და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან;

მეორადი წყაროების ანალიზი – მონიტორინგის ფარგლებში ინფორმაციის დამატებითი წყარო იყო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, კვლევები და შეფასებები.

კვლევის შეზღუდვები - საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემაში საქმეთა განაწილების სტატისტიკა განაწილების საფუძვლის, ინსტანციებისა და კატეგორიების მიხედვით, ასევე მოსამართლეთა დატვირთულიბის მაჩვენებლები, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პროექტის გუნდს საერთოდ არ მიაწოდა. გამონაკლისი იყო რამდენიმე სასამართლო, მათ შორის უზენაესი სასამართლო, რომელმაც გუნდს ამავე სასამართლოს მოსამართლეების მიერ განხილული საქმეების რაოდენობა წარუდგინა. შესაბამისად, კვლევაში, წინა მონიტორინგის ანგარიშებისგან განსხვავებით, სტატისტიკური ინფორმაციის დიდი ნაწილის დამუშავება და გაანალიზება ვერ მოხერხდა.

ძირითადი მიგნებები

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემაზე ბოლო წლების დაკვირვებამ აჩვენა, რომ საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დახვეწა პრიორიტეტს აღარ წარმოადგენს. არსებულ წესში ცვლილებები სულ უფრო ნაკლებად ხდება, მიუხედავად არაერთი პრობლემური ასპექტისა, რომელიც სამოქალაქო სექტორმა, სისტემის მონიტორინგის ფარგლებში, დიდი ხანია გამოავლინა. კერძოდ, საქმეთა შემთხვევითად განაწილების წესი არაერთ გამონაკლისს მოიცავს, რომელიც საერთო სასამართლოებში შესული საქმეების თითქმის ერთ მესამედს შემთხვევითობის პრინციპის დაუცველად განაწილებულს ტოვებს. მკაფიო და მარტივად გასაგები არ არის სისტემაში მონაწილე ორგანოებისა და სასამართლოს ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი პირების, განსაკუთრებით კი, სასამართლოების თავმჯდომარეთა უფლებამოსილებები ამ პროცესში. ეს, სისტემაში არსებული არაფორმალური გავლენების გათვალისწინებით, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ინდივიდუალურ მოსამართლეთა საქმიანობას და სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ბოლოს, სასამართლო სისტემის მზარდი ჩაკეტილობა უკიდურესად ართულებს სისტემის ეფექტიან მონიტორინგს და უარყოფითად აისახება სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობაზე როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ საანგარიშო პერიოდში სისტემის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები წინა ანგარიშებში დასახელებულ გამოწვევებს მნიშვნელოვნად ემთხვევა. კერძოდ,

- საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების მიმართულებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტები არსებითად გაუარესდა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სისტემის ფუნქციონირების ეფექტიან მონიტორინგს;
- საქმეთა განაწილების წესში არაერთი ბუნდოვანი და პრობლემური დებულებაა მასში მონაწილე ორგანოების (განსაკუთრებით სასამართლოების თავმჯდომარეთა) უფლებამოსილებებთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, საქმეთა განაწილების პროცესის ხარვეზების აღმოსაფხვრელად ნაბიჯები არ იდგმება; კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები უმეტესად ტექნიკური, არაარსებითი ხასიათისაა და არსებულ გამოწვევებს ვერ პასუხობს;
- საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ბუნდოვანი მოწესრიგება და შემთხვევითად განაწილების პრინციპიდან უამრავი გამონაკლისი ვერ უზრუნველყოფს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობაზე იმ არასათანადო გავლენების რისკების მინიმუმამდე შემცირებას, რომლებიც სასამართლო სისტემის არაფორმალური გავლენების გათვალისწინებით გვხვდება;
- მოსამართლეთა მივლინების ახალი, გაუარესებული საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც აღარ ითვალისწინებს მოსამართლის თანხმობის აუცილებლობას და გეოგრაფიული არეალით შეზღუდულ შემთხვევითად შერჩევის პრინციპს, ზრდის საქმეების კონკრეტულ მოსამართლე(ებ)ზე განაწილების ან განაწილებისგან თავის არიდების რისკებს;

- სასამართლოს თავმჯდომარეებს კვლავ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს და, შესაბამისად, არსებული კლანურობისა და კორპორატივიზმის ფონზე, დიდია მათ მიერ რიგი უფლებამოსილებების არაკეთილსინდისიერად, თვითნებურად გამოყენების რისკები. კვლავ პრობლემას წარმოადგენს თავმჯდომარეებისთვის ისეთი ფართო უფლებამოსილებების მინიჭება, რომლებიც სუბიექტური შეფასების და ინდივიდუალურ მოსამართლეებზე არალეგიტიმური ზეგავლენის შესაძლებლობას იძლევა:
    - თავმჯდომარეთა მიერ მოსამართლეებზე დატვირთულობის გაზრდისა და შემცირების უფლებამოსილება ბუნდოვანი საფუძვლებით
    - მორიგეობის დადგენისა და მასში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება, რომელიც დასაბუთებას არ საჭიროებს
    - ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრისა და ცვლილების უფლებამოსილება ნათლად დადგენილი პროცედურის გარეშე
    - მოსამართლეთა თვითაცილების/აცილების დროს თავმჯდომარეთა ჩართულობის ბუნდოვანი ხასიათი
    - კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრის პროცესში თავმჯდომარეთა მონაწილეობა;
- პრობლემად რჩება მოწესრიგება, რომელიც საერთო სასამართლოებში გარკვეულ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი პირებისათვის საქმეთა განაწილების განსხვავებულ, ბევრად დაბალ პროცენტულ მაჩვენებლებს ითვალისწინებს; ამასთანავე, არაერთი მცდელობის მიუხედავად, დღემდე არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი ზოგიერთი მოსამართლის დატვირთულობასა და მათ მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობაზე;
- 300%-მდე გაიზარდა მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებისას, სასამართლო სისტემის შიგნით პოზიციის ცვლილებისას, ასევე ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებისას მოსამართლეზე საქმეთა განაწილების ზრდის პროცენტული მაჩვენებლები. საბჭოს მიერ სტატისტიკური ინფორმაციის დაფარვის მიუხედავად, მითითებული ცვლილებითაც კი აშკარაა, რომ საქმეთა რაოდენობა მზარდია, სისტემას კი უჭირს მასთან გამკლავება, რაც ინდივიდუალურ მოსამართლეებზე წნეხს და მათი დატვირთვის მაჩვენებლებს ზრდის;
- საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა კვლავ არ ითვალისწინებს საქმის სირთულესა და წონას, რაც აუცილებელია მოსამართლეთა თანაბარი და სამართლიანი დატვირთვისთვის;
- საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით არ ნაწილდება მინიმუმ 4 - რაიონულ სასამართლოში. ამბროლაურის, საჩხერის, ასევე სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოებში მხოლოდ ერთი მოსამართლეა, ცაგერის რაიონულ სასამართლოში კი - მოსამართლე საერთოდ არ არის გამწესებული;

- პირველი ინსტანციის სასამართლოები მორიგეობის გრაფიკს მხოლოდ იმ არგუმენტით არ გასცემენ, რომ ის არ არის საჯარო ინფორმაცია, შესაბამისად, ხელმისაწვდომი არ არის ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და არც მათი დაარქივება ხდება; თავმჯდომარეთა მიერ მორიგეობის გრაფიკის დადგენის უფლებამოსილების ცხადი მოწესრიგების არარსებობის პირობებში, მორიგეობის გრაფიკების „გასაიდუმლოება“ შეუძლებელს ხდის საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგს;
- პრობლემურია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის დაკომპლექტების წესი. კოლეგიური განხილვისას საქმე ელექტრონული სისტემის საშუალებით შემთხვევითად ნაწილდება თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე. თუმცა კანონმდებლობა, ისევე როგორც სასამართლოები კოლეგიის დანარჩენი მოსამართლეების არჩევის წესსა და პროცედურაზე არაფერს ამბობს;
- სათანადოდ არ არის მოწესრიგებული მოსამართლის აცილების/თვითაცილების დროს საქმეთა ხელახალი განაწილების პროცედურა და ვადები;
- კვლავ ბუნდოვანია, ვინ და რა გარემოებებზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს „აუცილებელი შემთხვევის“, „მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების“ ან/და „ობიექტური გარემოების“ არსებობა, რომელთა საფუძველზეც: ა) სხვა ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეს კონკრეტული საქმის განხილვის შესაძლებლობა ეძლევა, ბ) ჩერდება საქმეთა განაწილება და საქმე განსახილველად სხვა მოსამართლეს გადაეცემა;
- კანონმდებლობა ნათლად არ განსაზღვრავს სასამართლო კანცელარიის უფლებამოსილებასა და მისი საქმიანობის პროცედურულ საფუძვლებს. ამასთანავე, პრობლემურია კანცელარიის, როგორც საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემაში მონაწილეობაზე უფლებამოსილი ორგანოს, ანგარიშვალდებულების ნაკლებობის საკითხი;
- მენეჯმენტის დეპარტამენტის ფუნქციები და მისი დაკომპლექტების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი კვლავ ტოვებს საქმეთა განაწილების სისტემაზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენისა და ამ გზით მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობასა და საქმიანობაში ჩარევის რისკებს.

I. საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემაში შესული ცვლილებები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითობის პრინციპის დაცვით, განაწილებას ითვალისწინებს. კანონმდებლობის თანახმად, სისტემის დეტალური სამართლებრივი მოწესრიგება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდეგში - საბჭო) უფლებამოსილებაა. ორგანული კანონით, მხოლოდ ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას საქმეთა რიგითობით განაწილების ვალდებულებაა მკაფიოდ დადგენილი.[4]

საბჭომ, კანონმდებლობით დელეგირებული უფლებამოსილების შესრულების მიზნით, 2017 წლის გადაწყვეტილებით,[5] საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი დაამტკიცა. ამ წესის თანახმად, საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე ნაწილდება.[6] იმავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა საქმეთა განაწილების პრინციპები, შემთხვევითი განაწილების წესი და მისი გამონაკლისები. ასევე დადგინდა მოსამართლეთა დატვირთულობის მომწესრიგებელი ნორმები და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი პირების, სასამართლოს კანცელარიისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის როლი ამ პროცესში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის დანერგვის საწყის ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ბევრი ცვლილება თუ დამატება შევიდა, თუმცა საქმეთა განაწილების წესში კვლავ არაერთი ბუნდოვანი და პრობლემური დებულება დარჩა. სამოქალაქო საზოგადოების მიერ ამ გამოწვევებზე მრავალჯერადი მითითების მიუხედავად, ბოლო წლებში, საქმეთა განაწილების პროცესთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და სხვადასხვა დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, სათანადო ნაბიჯები არ გადადგმულა.

საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემის საკითხი მოხვდა ევროკომისიის 2022 წლის ივნისში გამოქვეყნებულ, ევროკავშირის წევრობაზე საქართველოს მიერ გაკეთებული განაცხადის შეფასებაშიც, სადაც კომისიამ მიუთითა, რომ სისტემის არსებობის მიუხედავად, აუცილებელია საქმეთა განაწილების წესის შემდგომი დახვეწა და შემთხვევითად განაწილების წესიდან არსებული გამონაკლისების შემცირება, რათა შემცირდეს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე არასათანადო გავლენის რისკები.[7] ეს რეკომენდაცია გამეორდა ევროკომისიის 2023 წლის ნოემბრის ანგარიშშიც, რომლითაც

---

[4] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58[1] მუხლი.

[5] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56.

[6] იქვე, მუხლი 2.

[7] COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN COUNCIL AND THE COUNCIL Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, 17.06.2022, COM(2022) 405 final, გვ. 7, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/6edngoTZ ; წვდომის თარიღი: 30.06.2024).

კომისიამ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა. კომისიის შეფასებით, წლიურად, საშუალოდ, საქმეთა მხოლოდ 62%-ის შემთხვევითად განაწილება არ არის საკმარისი და სისტემაზე არასათანადო ზეგავლენის გამოსარიცხად, ეს მაჩვენებელი აუცილებელია გაიზარდოს.[8]

საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა ბოლო წლებში დანერგილი პრაქტიკა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში ძირითადად არაარსებითი ცვლილებების განხორციელების შესახებ. მეტიც, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც საბჭომ კონკრეტულ ნორმაში შეტანილი ცვლილება 1-2 თვეში კვლავ შეცვალა, ან 1 სხდომაზე საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემის მომწესრიგებელ აქტში შესატანი ცვლილებები სხვადასხვა აქტით მიიღო. ეს აშკარად მიუთითებს სისტემის ფუნქციონირების და აქ არსებული პრობლემების არასისტემურ გააზრებაზე. ნაცვლად იმისა, რომ საქმეთა განაწილების წესში არსებული ხარვეზები ერთიანად, საქმეთა ნაკადის მართვაში სერიოზული ჩავარდნების მთლიანობაში გააზრებით გაანალიზდეს, საბჭო არაარსებითი დეტალების სპონტანურად შეცვლით არის დაკავებული.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების რაოდენობასა და შინაარსს, 2022-2023 წლების პერიოდში, საბჭოს №1/56 გადაწყვეტილებაში 6 ცვლილება შევიდა: 2022 წელს - 2, 2023 წელს კი - 4. როგორც აღინიშნა, ცვლილებათა უმრავლესობა კონკრეტული სამართლებრივი დეტალების ტექნიკურ დახვეწას ემსახურებოდა.

საქმეთა განაწილების წესში შესული ცვლილებებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი 2022 წლის ნოემბერში განხორციელდა. ცვლილების თანახმად, მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებისას, სასამართლო სისტემის შიგნით პოზიციის ცვლილებისას[9], ასევე ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებისას შეიცვალა მოსამართლეზე საქმეთა განაწილების ზრდის პროცენტული მაჩვენებლები.[10]

თანამდებობაზე გამწესების, სისტემაში ადგილის ცვლილების ან (ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის გამო) შვებულებიდან დაბრუნებისას	**მოსამართლეზე საქმის განაწილების მაჩვენებელი იზრდება**			
	≤ 2021		2022-2023	
	თანამდებობაზე გამწესებისას, სისტემაში ადგილის ცვლილებისას, ასევე ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ	ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევამდე	თანამდებობაზე გამწესებისას, სისტემაში ადგილის ცვლილებისას, ასევე ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ	ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევამდე
	200%	150%	300%	250%

[8] Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report Accompanying the document, Brussels, 8.11.2023 SWD(2023) 697 final, გვ. 22-23,

[9] კერძოდ, მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნისას, იმავე სასამართლოს კოლეგიის/პალატის სხვა სპეციალიზაციაში გადასვლისას, სხვა სასამართლოში მოსამართლედ მივლინების, ამ მივლინების ვადის დასრულებისას.

[10] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №38.

საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოების სისტემაში შესულ საქმეთა რაოდენობაზე საბჭოს მიერ სტატისტიკური ინფორმაციის დაფარვის მიუხედავად, მითითებული ცვლილებითაც კი აშკარაა, რომ საქმეთა რაოდენობა მზარდია, სისტემას კი უჭირს მასთან გამკლავება. ამასთანავე, როგორც კვლევები მიუთითებს,[11] მენეჯმენტის ერთიანი სისტემის შექმნამ საქმეთა გაჭიანურების პრობლემის დაძლევის მიმართულებით წინსვლა ვერ გამოიწვია. არ არსებობს საქმეთა ნაკადის ეფექტიანი მართვის ერთიანი პოლიტიკა და სისტემა, რომლის ფუნქციაც საქმის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად რეგულარული ზომების მიღება იქნებოდა. საქმეთა ნაკადი მხოლოდ მოსამართლის ინდივიდუალური მიდგომებისა და ძალისხმევის მიხედვით იმართება. გარდა ამისა, მოსამართლე არ სარგებლობს საკმარისი მხარდაჭერით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედი სისტემა საკანონმდებლო დონეზე ითვალისწინებს მოსამართლის დამხმარე ადამიანური რესურსებით მხარდაჭერას. ყოველივე ეს კი, არაადეკვატურად ზრდის წნეხს ინდივიდუალურ მოსამართლეებზე, ისევე როგორც მათი დატვირთვის მაჩვენებლებს.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო საქმეთა განაწილების წესს იმ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლე იმყოფება შვებულებაში, მივლინებაში, ასევე, წინასწარ ცნობილია მისი დროებითი შრომისუუნარეობის შესახებ, ან სხვა საფუძვლით უჩერდება სამსახურებრივი ურთიერთობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონკრეტული მოწესრიგება საანგარიშო პერიოდში ორჯერ შეიცვალა. [12]

შვებულების, სამსახურებრივი მივლინების, წინასწარ ცნობილი დროებითი შრომის უუნარობის ან სხვა საფუძვლის გამო მოსამართლის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებისას	**მასზე საქმეები არ ნაწილდება, თუკი უფლებამოსილება ჩერდება არანაკლებ**			**მასზე საქმეების განაწილება ჩერდება**					
	2021	2022	2023	2021		2022		2023	
	7 დღით	3 დღით	2 დღით	რაიონული (საქალაქო)	საапელაციო, უზენაესი	რაიონული (საქალაქო)	საапელაციო, უზენაესი	რაიონული (საქალაქო)	საапელაციო, უზენაესი
				1 დღით ადრე	3 დღით ადრე	2 დღით ადრე	4 დღით ადრე	2 დღით ადრე	3 დღით ადრე

ამასთანავე, 2022 წლის ცვლილებით განისაზღვრა, რომ 3 დღეზე ნაკლები ვადით ურთიერთობის შეჩერებისას მოსამართლეზე საქმეები ჩვეულებრივ ნაწილდებოდა (გამონაკლისია ის საქმეები, რომელთა განხილვის ვადა 72 საათს არ აჭარბებს). ამისგან

[11] დემოკრატიის ინდექსი - საქართველო, დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი, „საქმეთა გაჭიანურების პრობლემა საქართველოს საერთო სასამართლოებში“, 2023, გვ. 6-8, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/legBgWFw ; წვდომის თარიღი: 30.06.2024).

[12] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 30 ნოემბრის №39 დადგენილება; ასევე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 20 იანვრის №46 დადგენილება.

განსხვავებით, 2023 წლის ცვლილებით ეს მაჩვენებელიც შემცირდა. შედეგად, თუკი მოსამართლეს ურთიერთობა უჩერდება 1 დღით, მასზე საქმეები ნაწილდება ჩვეულებრივ (გამონაკლის საქმეებზე შენარჩუნების მითითებით).

აქვე განისაზღვრა ზემოაღნიშნული წესიდან გამონაკლისი, რომლის თანახმადაც, ის არ ვრცელდება თბილისის საქალაქო სასამართლოს კონკრეტული საქმეების განმხილველ ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეებზე. ამგვარ ვიწრო სპეციალიზაციაში განაწილებული საქმეები, რომლებზეც წინასასამართლო სხდომების გამართვა ემთხვევა მოსამართლის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდს, სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 1 დღით ადრე, ელექტრონულად ნაწილდება ამავე სპეციალიზაციის სხვა მოსამართლეზე.[13]

სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებისას მოსამართლეზე საქმეთა განაწილების შეჩერების ვადის შემცირების ტენდენციაც მიუთითებს, რომ სასამართლოში შესული საქმეების რაოდენობა იზრდება. იმ პირობებში კი, როდესაც მოსამართლეთა რაოდენობა და საქმეთა მართვის ეფექტიანობის ხარისხი მეტნაკლებად უცვლელი რჩება, ბუნებრივია, რომ უნდა შემცირდეს ის ე.წ. „თავისუფალი პერიოდი“, როდესაც მოსამართლეზე საქმის განაწილება ჩერდება. გარდა ამისა, აქაც ვხვდებით საქმეთა განაწილების შეჩერების ე.წ. „ღია საფუძველს“, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზემოაღნიშნული აქტი არ აკონკრეტებს, სხვა რა შემთხვევაში შეიძლება შეჩერდეს მოსამართლის სამსახურებრივი ურთიერთობა, თუ არა შვებულების, მივლინებისა და დროებით შრომისუუნარობის შემთხვევებში. საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემაში მრავლადაა ასეთი ბუნდოვანი, ღია საფუძვლები, რაც მათი არასათანადოდ გამოყენების და ამა თუ იმ მოსამართლეზე საქმის არდაწერის შესაძლებლობებს ქმნის.

საბჭოს №1/56 გადაწყვეტილება საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს მოიცავს იმ შემთხვევებისა, რომლებზეც არ ვრცელდება საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპი. ამ ნაწილში საანგარიშო პერიოდში ძირითადად ტექნიკური ხასიათის ცვლილებები შევიდა. მაგალითად,

ა) დაზუსტდა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები შემთხვევითად არ ნაწილდება როგორც განჩინების და გადაწყვეტილების გამომტან, ისე საქმის განმხილველ მოსამართლეზე;[14]

ბ) დაზუსტდა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე საჩივრის წარდგენა გათვალიწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლით.[15]

გ) 2023 წელს თითქმის 3 კვირის შუალედით, ორჯერ შეიცვალა და დაკონკრეტდა №1/56 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი. ცვლილების თანახმად, არა მხოლოდ ყველა დოკუმენტი და შუამდგომლობა, არამედ „საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მასალა და შუამდგომლობა (მათ შორის, საჩივარი, კერძო საჩივარი, სააპელაციო საჩივარი, საკასაციო საჩივარი და სხვ.) განსახილველად გადაეცემა და დაერთვის მოსამართლისათვის

[13] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 20 იანვრის №46 დადგენილება, 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი.

[14] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 20 იანვრის №46 დადგენილება.

[15] იქვე.

განსახილველად გადაცემულ ნებისმიერ საქმეს (ან წარმოებას), რომლის განხილვაც შესაბამისი მოსამართლის მიერ არ არის დასრულებული“.[16]

ამასთანავე, საბჭოს №1/56 გადაწყვეტილებას დაემატა წესი, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული/სამოქალაქო/სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები (განაჩენი, განჩინება, სასამართლოს ნებისმიერი აქტი), რომლებზეც არ ვრცელდება შემთხვევითი განაწილების პრინციპი, მისი გასაჩივრების შემთხვევაში ნაწილდება ზემდგომი სასამართლოს შესაბამის ვიწრო სპეციალიზაციაში (თუკი ასეთი არსებობს), საქმეთა დადგენილი კატეგორიის შესაბამისად.[17]

ბოლოს, 2023 წლის 2 მარტის ცვლილებით, დანაწესს, რომლის თანახმადაც, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ბოლო 2 თვის განმავლობაში, როგორც წესი, მასზე საქმეები არ ნაწილდება, განაწილების შეწყვეტის წინაპირობად დაემატა 65 წლის ასაკის მიღწევა.[18] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდს მიღმა, 2024 წლის მარტის ცვლილებით, ზემოაღნიშნული 2-თვიანი ვადა გაიზარდა 5 თვემდე. ეს ცვლილება, შესაძლოა, ლოგიკური იყოს იმ საფუძვლით, რომ მიზანშეწონილია, მოსამართლემ დროულად დაასრულოს მასზე განაწილებულ საქმეთა განხილვა და დიდი ხნით არ გახანგრძლივდეს მისი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდი უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ.

შედეგად, საანგარიშო პერიოდში კვლავ ადგილი ჰქონდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მოწესრიგებაში არასისტემურ, კოსმეტიკურ ცვლილებებს. ამასთანავე, მათი გარკვეული ნაწილი მიუთითებს საერთო სასამართლოებში განსახილველად შესული საქმეების მზარდ რაოდენობაზე, რაც ზრდის ინდივიდუალურ მოსამართლეთა დატვირთულობას. ამ გამოწვევასთან გააზრებულად, ერთიანი მიდგომებით გამკლავების ნაცვლად, საბჭო კვლავ არაარსებით ცვლილებებზეა ორიენტირებული, რიგ შემთხვევებში კი, ზრდის ინდივიდუალური მოსამართლეების დატვირთულობას, რაც საბოლოო ჯამში აუარესებს როგორც მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტიანობას, ისე მის ხარისხსაც.

II. სამართლებრივი რეგულირება და სტატისტიკური ინფორმაცია

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/56 გადაწყვეტილების თანახმად, შემთხვევითი განაწილების პრინციპი განიმარტება, როგორც წესით დადგენილი პროცედურის დაცვით ავტომატურად შერჩეულ შესაბამისი კოლეგიის/პალატის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეზე საქმეთა განაწილება.[19]

ბოლო ორი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2018-2019 და 2020-2021 წლებში) შემთხვევითობის პრინციპის დაცვით განაწილებული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი, სტაბილურად, საქმეთა მთლიანი რაოდენობის საშუალოდ 62-%-ს შეადგენდა. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე არაერთხელ გაჟღერებული რეკომენდაციების მიუხედავად,

[16] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 2 მარტის №53 დადგენილება.
[17] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 20 იანვრის №46 დადგენილება.
[18] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 2 მარტის №54 დადგენილება.
[19] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 2.

გაიზარდოს ეს მაჩვენებელი და შემცირდეს გამონაკლისი შემთხვევების რაოდენობა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

რაც შეეხება წინამდებარე მონიტორინგის პერიოდს, პროექტის გუნდმა 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქმეთა ელექტრონულად განაწილების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია გამოითხოვა როგორც საქართველოს ყველა მსხვილი სასამართლოდან, ისე იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან. მონაცემების გამოთხოვნის შესახებ ოფიციალური წერილები სოციალური სამართლიანობის ცენტრის სახელით 2024 წლის 19 თებერვალს გაიგზავნა, თუმცა ანგარიშზე მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არანაირი პასუხი არ გაუცია. ანგარიშის მომზადების პერიოდში პროექტის გუნდი არაერთხელ დაუკავშირდა საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ყოველ ჯერზე მიუთითებდა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია მზადდებოდა, გამოგზავნის სავარაუდო თარიღის ან სხვა დამატებითი დეტალების მიუთითებლად. რაც შეეხება საერთო სასამართლოებს, ინფორმაციის შესახებ წერილობით მოთხოვნას ასევე არ უპასუხეს თბილისის საქალაქო სასამართლომ, ქუთაისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემის რამდენიმეწლიანი მონიტორინგის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდში, პირველად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ასევე, სასამართლოების ნაწილმა უარი თქვეს არა მხოლოდ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მოწოდებაზე, ისე არაერთხელ კონტაქტის მიუხედავად, რაიმე ტიპის წერილობით ახსნა-განმარტებაზე ან ინფორმაციის გაცემის თაობაზე უარის შესახებ შეტყობინებაზე. შედეგად, იმ საკანონმდებლო და პრაქტიკული მოწესრიგების გათვალისწინებით, რომ საერთო სასამართლოების სისტემაში საქმეთა განაწილების თაობაზე სტატისტიკურ ინფორმაციას უპირველესად საბჭო ამუშავებს, პროექტის გუნდმა ვერ შეძლო საქმეთა განაწილების ანალიზი შემთხვევითობის პრინციპის დაცვით/დაცვის გარეშე, ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების მიხედვით. შესაბამისად, უცნობია, სასამართლოებში შესულ საქმეთა რაოდენობა, ასევე მათი შემთხვევითად განაწილების საშუალოდ 62%-იანი მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდში შეიცვალა თუ არა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმის გათვალისწინებით, რომ სისტემის სამართლებრივ მოწესრიგებაში ფუნდამენტური ცვლილებები არ მომხდარა, საფიქრებელია, რომ წინა წლების ტენდენცია განაწილების პროცენტულ მაჩვენებლებზე, შესაძლოა, შენარჩუნებული იყოს.

რაც შეეხება შემთხვევითად განაწილების პრინციპის დაუცველად საქმეთა განაწილებას, საბჭოს გადაწყვეტილება საქმეთა ალბათობით განაწილების წესიდან არსებული გამონაკლისების ვრცელ ჩამონათვალს შეიცავს, რომლებიც რამდენიმე კატეგორიად იყოფა. ეს კატეგორიებია: *გამონაკლისი წესით, მორიგეობითა და წესის გარეშე* საქმეთა განაწილება. დამატებით, *მაგისტრ მოხელეზე* ნაწილდება საქმეთა ის კატეგორია, რომელიც მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია.

გამონაკლისი წესით, საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაუცველად ნაწილდება, როდესაც: ა) მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი მაგისტრატი მოსამართლეა; ბ) რაიონულ/საქალაქო სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი

მოსამართლეა; ასევე, გ) რაიონულ/საქალაქო სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მორიგე მოსამართლეა.[20]

ამასთანავე, გამონაკლისი წესით საქმეთა განაწილების ვრცელი ჩამონათვალია განსაზღვრული კონკრეტული სპეციალიზაციის საქმეებისათვის. კერძოდ, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეები, განჩინების/გადაწყვეტილების გამომტან/საქმის განმხილველ მოსამართლეზე 23-მდე შემთხვევაში ნაწილდება.[21]

ბოლოს, №1/56 გადაწყვეტილება ადგენს იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალს, რომელთა განმხილველი მოსამართლეც უშუალოდ არის განსაზღვრული საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით.[22] მაგალითად, ა) სასამართლოში წესრიგის დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხს სხდომის/სასამართლოს თავმჯდომარე განიხილავს; ბ) განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე, გ) ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თავმჯდომარის უკანონო გადაწყვეტილება ან მოქმედება საჩივრდება საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარესთან, დ) მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მაგისტრატი მოსამართლის დასაბუთებული განჩინება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში; და ე) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე საჩივრის მიღების საკითხს განიხილავს იგივე მოსამართლე.

როგორც აღინიშნა, პროექტის გუნდმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა სასამართლოების იმ ჩამონათვალის მოთხოვნით, სადაც საქმეთა ელექტრონული პროგრამა საქმეებს შემთხვევითობის პრინციპის დაცვით ვერ ანაწილებს, თუმცა საბჭოს ეს ინფორმაცია არ მოუწოდებია. სასამართლოების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მხოლოდ სამმა - ამბროლაურის, საჩხერის, ასევე სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულმა სასამართლოებმა მიუთითეს, რომ მათთან საქმეები შემთხვევითი პრინციპის დაუცველად ნაწილდება, რადგან იქ მხოლოდ ერთი მოსამართლეა.[23] ამასთანავე, ცაგერის რაიონული სასამართლოს ინფორმაციით, პასუხის გაცემის დროისთვის სასამართლოში მოსამართლე საერთოდ არ იმყოფებოდა.[24]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, სავარაუდოა, რომ შემთხვევითი განაწილების პრინციპი იმავე საფუძვლით ასევე არ მოქმედებს მაგისტრატ მოსამართლეებთან მიმართებით 38 მუნიციპალიტეტში, რადგან იქ უფლებამოსილებას მხოლოდ 1 მაგისტრატი მოსამართლე ასრულებს.[25] გამონაკლისია

---

[20] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 3.

[21] იქვე, მუხლი 3.

[22] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 4.

[23] ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №76 წერილი, ასევე, საჩხერის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №865 წერილი; ასევე, სოხუმის და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №40 წერილი.

[24] ცაგერის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 28 თებერვლის №211 წერილი.

[25] გარდაბანი, ხობი, ქობულეთი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, ონი, ნინოწმინდა, ბორჯომი, მარნეული, დმანისი, კასპი, ლაგოდეხი, ყვარელი, თერჯოლა, ხარაგაული, მესტია, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, წალკა, ახმეტა, ახალგორი, თიანეთი, დუშეთი, ყაზბეგი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ვანი, ხონი, ჭიათურა, აბაშა, მარტვილი, საგარეჯო, დედოფლისყარო, ლენტეხი, ქარელი, ქედა, შუახევი, ხულო.

გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სადაც მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2 მოსამართლე ასრულებს. ამასთანავე, საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემებით, 39 მუნიციპალიტეტიდან, მოქმედი მაგისტრატი მოსამართლის ვინაობა მითითებულია მხოლოდ 17 შემთხვევაში.

რაც შეეხება შემთხვევითი პრინციპის დაუცველად განაწილებული საქმეების სხვა კატეგორიებს, საერთო სასამართლოებში საქმეები **წესის გარეშე** ნაწილდება, როდესაც სასამართლოს კოლეგიაში ან/და სპეციალიზაციაში მხოლოდ ერთი მოსამართლეა.[26] საქმეთა **მორიგეობით განაწილება** კი გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე (რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს), სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით მორიგეობის განსაზღვრას, რომლის მიხედვითაც ეს საქმეები არასამუშაო და სამუშაო საათებში ნაწილდება. მსგავს შემთხვევაში განაწილებულ საქმეთა რაოდენობა მოსამართლის დატვირთულობის მაჩვენებლის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება.[27]

მორიგეობის განსაზღვრა საქმეთა განაწილების სისტემის ერთ-ერთი პრობლემური ასპექტია, როგორც შინაარსობრივი, ისე ამ პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის ჩართულობის თვალსაზრისით. კერძოდ, საერთო სასამართლოებში მორიგეობის განრიგი წინასწარ არის განსაზღვრული, თუმცა სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ნებისმიერი ვადით შეიტანოს მასში ცვლილებები. შესაბამისად, საქმეთა მორიგეობით განაწილების წესი საქმის კონკრეტულ მოსამართლეზე გადაცემის შესაძლებლობას იძლევა. რამდენადაც, ამ მიმართულებით, მოცემულ საანგარიშო პერიოდშიც არაფერი შეცვლილა, საქმის მორიგეობით განაწილების წესი კვლავ შეიცავს სასამართლოს თავმჯდომარეების მხრიდან მორიგეობის გრაფიკის ერთპიროვნულად დადგენის რისკებს და ტოვებს მისი არაჯანსაღი ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას.

პროექტის გუნდმა საქართველოს მსხვილ სასამართლოებს მიმართა და მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის თაობაზე საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა. მიღებული ინფორმაციის ნაწილის ანალიზით ირკვევა, რომ დღეისათვის არსებული მდგომარეობა წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსია. სააპელაციო სასამართლოებმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას არ უპასუხეს. უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით კი, აქ მორიგეობა დადგენილი არ არის.[28] რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოებს, მათი აბსოლუტური უმრავლესობის ინფორმაციით, მორიგეობის გრაფიკი არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და არ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ამასთანავე, სასამართლოები არ აარქივებენ ამ ინფორმაციას. ერთგვარი გამონაკლისი იყო რუსთავის საქალაქო სასამართლო, რომელმაც, მართალია, კვლავ მორიგეობის გრაფიკის არასაჯარო ბუნებაზე მიუთითა, თუმცა საილუსტრაციოდ პროექტის გუნდს მიაწოდა გრაფიკის ნიმუშები, რომლის საფუძველზეც

[26] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.
[27] იქვე.
[28] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 11 აპრილის წერილი №3-162-24.

თანხმდებიან მოსამართლეები და მათგან მიიღება თანხმობა მორიგეობის დღეებთან დაკავშირებით.[29]

იმ სასამართლოებში, სადაც მხოლოდ ერთი მოსამართლეა, საქმეები მხოლოდ მასზე ნაწილდება (წესის გარეშე განაწილების კატეგორიას მიეკუთვნება).[30] ამასთანავე, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მითითებით, დღეის მდგომარეობით მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით აქ მორიგების გრაფიკი დადგენილი საერთოდ არ არის.[31] გურჯაანის და სენაკის რაიონულ სასამართლოებში, ასევე ფოთის საქალაქო სასამართლოში, მორიგეობით საქმეები მოსამართლეებზე ნაწილდება არასამუშაო/დასვენების დღეებში, ხოლო სამუშაო დღეებში საქმეები ნაწილდება შემთხვევითი პრინციპის საფუძველზე, ელექტრონული განაწილების პროგრამის მეშვეობით.[32] დამატებით, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში 72 საათის განმავლობაში განსახილველი საქმეებისათვის დაწესებულია ერთკვირიანი მორიგეობა, მოსამართლეთა რიგითი ნომრების მიხედვით.[33] ასევე, სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მათ შორის საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოებში) სამოსამართლო უფლებამოსილებას ასრულებს 3 მოსამართლე, რომლებზეც სამუშაო და არასამუშაო დღეებში მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებულ შუამდგომლობათა, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული 24 საათის განმავლობაში საქმეების განაწილება ხორციელდება მოსამართლეთა რიგითობის შესახებ დამტკიცებული გრაფიკით.[34]

საყურადღებოა, რომ მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოების ტრადიცია მეორე საანგარიშო პერიოდში - 2019 წელს დამკვიდრდა,[35] რაც საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სტანდარტის მკვეთრი გაუარესება იყო. თავმჯდომარეთა უფლებამოსილების ცხადი მოწესრიგების არარსებობის პირობებში კი, მორიგეობის გრაფიკების განგრძობადად გასაიდუმლოება მნიშვნელოვნად აბრკოლებს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგს.

III. საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემის ხარვეზები

წინამდებარე თავი ეთმობა საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემაში არსებული იმ ძირითადი ხარვეზების მოკლე ანალიზს, რომელიც სისტემის გამართვის უზრუნველსაყოფად

---

[29] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 2 მარტის №421/გ წერილი.

[30] ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №76 წერილი, ასევე, საჩხერის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №865 წერილი; ასევე, სოხუმის და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №40 წერილი. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს საკუთარ ოფიციალურ წერილში სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობის თაობაზე არ მიუთითებია, თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის მონაცემებით, აქ 1 მოსამართლეა.

[31] თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2024 წლის 5 აპრილის №524/მ წერილი.

[32] გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 29 თებერვლის №37 წერილი; ასევე, სენაკის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №124 წერილი; ასევე, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №75 წერილი.

[33] ზესტაფონის რაონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №9-38 წერილი.

[34] სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 26 თებერვლის №49 წერილი.

[35] „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020.

შემდგომ დახვეწას საჭიროებს. ეს მინიმუმამდე დაიყვანს საქმეთა განაწილებისას მასზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენის რისკებს და უზრუნველყოფს მოსამართლეთა შორის საქმეთა მეტად სამართლიან განაწილებას.

3.1. მოსამართლეთა დატვირთულობა და საქმეთა თანაბარი განაწილება

სასამართლოს გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების ფონზე, საქმეთა განაწილების ეფექტიან მენეჯმენტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სისტემის მიზანი არა მხოლოდ ინდივიდუალური მოსამართლის ზეგავლენებისაგან დაცვა, არამედ მოსამართლეთა დატვირთულობის ბალანსისა და მოსამართლეებს შორის საქმეთა თანაბარი განაწილების მიღწევაა.

როგორც აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ცვლილება სწორედ მოსამართლეთა დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებლის ზრდას შეეხო. ცვლილების თანახმად, მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებისას, სასამართლო სისტემის შიგნით პოზიციის ცვლილებისას, ასევე ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებისას შეიცვალა მოსამართლეზე საქმეთა განაწილების ზრდის პროცენტული მაჩვენებლები და გაიზარდა 200%-დან 300%-მდე, ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევამდე კი 150%-დან 250%-მდე.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება მოწესრიგება, რომელიც საერთო სასამართლოებში გარკვეულ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი პირებისათვის საქმეთა განაწილების განსხვავებულ პროცენტულ მაჩვენებლებს ითვალისწინებს:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი - 20%, ხოლო თუ წევრი ამავე დროს, არის სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე - 10%;
- იმ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა არ აღემატება 7-ს – 50%, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა აღემატება 7-ს –20%.[36]
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე და კოლეგიის თავმჯდომარე (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა), ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი - განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია განაწილდეს საქმეები, როგორც წესი, არაუმეტეს 5%-ისა.[37]

კვლავ პრობლემურია თავმჯდომარის მიერ მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის შესაძლებლობა და მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების

---

[36] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 5, პუნქტი 6.

[37] იქვე., მუხლი 5, პუნქტი 7.

თავიდან ასაცილებლად მოსამართლეთა დატვირთულობის 25%-იანი ბიჯით გაზრდის უფლებამოსილება.[38] მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, ოჯახური მდგომარეობისა და მოსამართლის ჯანმრთელობის საფუძვლებით, ან სხვა ობიექტური მიზეზის გათვალისწინებით კი, ეს მაჩვენებელი შესაძლოა შემცირდეს არაუმეტეს 50%-იანი ბიჯით.[39]

ზემოაღნიშნული მოწესრიგებით ნათელია, რომ მოსამართლეთა დატვირთულობის განსაზღვრის სისტემა სულ უფრო ნაკლებად უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მოსამართლეთა თანასწორობას. ამ პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები კი მისი მხრიდან სუბიექტური შეფასების ფართო შესაძლებლობებს წარმოშობს და ინდივიდუალურ მოსამართლეებზე არასათანადო ზეგავლენის რისკებს შეიცავს.

სხვა საჯარო ინფორმაციის მსგავსად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პროექტის გუნდს არ მიაწოდა ინფორმაცია მოსამართლეთა დატვირთულობის მაჩვენებლების თაობაზე. ამისგან განსხვავებით არაერთგვაროვანი მიდგომები ჰქონდათ თავად სასამართლოებს. კერძოდ, სასამართლოთა ნაწილმა მიუთითა, რომ ამ მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი იუსტიციის უმაღლესი საბჭოა, თუმცა მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების რაოდენობრივი მონაცემები გუნდს მიაწოდეს უზენაესმა სასამართლომ, სოხუმის და გაგრა-გუდაუთის, სიღნაღის, თელავის და გურჯაანის რაიონულმა სასამართლოებმა.[40]

წინამდებარე ცხრილი ასახავს 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის პერიოდისათვის ზემოაღნიშნული სასამართლოების მოსამართლეთა დატვირთულობის მაჩვენებლებს. აღსანიშნავია, რომ თუკი წინა საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პროექტის გუნდს მოსამართლეთა დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებლები მიაწოდა, ამჯერად სასამართლოებმა საჯარო ინფორმაციის სახით კონკრეტულ მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობრივი მაჩვენებლები გაასაჯაროეს. ამგვარი მაჩვენებლები, პროცენტულისგან განსხვავებით, მოსამართლეთა დატვირთულობის მკაფიოდ დანახვისა და შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

აქვე აღსანიშნავია, რომ უზენაეს სასამართლოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში კვლავ საქმეთა რაოდენობის გარეშეა მითითებული სასამართლოს თავმჯდომარე და ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ქადაგიძე. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ საანგარიშო პერიოდში მას საქმეები საერთოდ არ განუხილავს.

---

[38] იქვე., მუხლი 5, პუნქტი 8.

[39] იქვე., მუხლი 5, პუნქტი 8[1]

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 11 აპრილის წერილი №3-162-24.; სოხუმის და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №40 წერილი; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 29 თებერვლის №37 წერილი; სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 26 თებერვლის №49 წერილი; თელავის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 27 თებერვლის №89 წერილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო			
მოსამართლე	**თანამდებობა**	**განაწილებული საქმეების რაოდენობრივი მაჩვენებელი**	
		2022	**2023**
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა			
ნინო ქადაგიძე	მოსამართლე, სასამართლოს თავმჯდომარე, პალატის თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე	X	X
ქეთევან ცინცაძე	მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	35	37
გენადი მაკარიძე	მოსამართლე, საკვალიფიკაციო პალატის წევრი	283	186
ბიძინა სტურუა	მოსამართლე	177	159
ნუგზარ სხირტლაძე	მოსამართლე	157	173
მაია ვაჩაძე	მოსამართლე	166	169
გოჩა აბუსერიძე	მოსამართლე, სადისციპლინო პალატის წევრი	171	181
თამარ ოქროპირიძე	მოსამართლე	272	132
გიორგი გოგიაშვილი	მოსამართლე	159	164
სამოქალაქო საქმეთა პალატა			
გიორგი მიქაუტაძე	მოსამართლე პალატის თავმჯდომარე	6	6
რევაზ ნადარაია	მოსამართლე, საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარე	139	123
ვლადიმერ კაკაბაძე	მოსამართლე	103	105
ლაშა ქოჩიაშვილი	მოსამართლე	128	106
ზურაბ ძლიერიშვილი	მოსამართლე	91	109
მირანდა ერემაძე	მოსამართლე, სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე	105	115
ლევან მიქაბერიძე	მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	98	118
ეკატერინე გასიტაშვილი	მოსამართლე	98	130
ამირან ძაბუნიძე	მოსამართლე	X	122
თეა ძიმისტარაშვილი	მოსამართლე, სადისციპლინო პალატის წევრი	161	94
ნინო ბაქაქური	მოსამართლე	97	118
თამარ ზამბახიძე	მოსამართლე	96	108
ალექსანდრე წულაძე	მოსამართლე[41]	122	114
სისხლის სამართლის საქმეთა პალატა			
შალვა თადუმაძე	მოსამართლე, პალატის თავმჯდომარე	14	19
მერაბ გაბინაშვილი	მოსამართლე	237	281
ლალი ფაფიაშვილი	მოსამართლე	256	340

[41] უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს - ალექსანდრე წულაძეს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება. ის 2023 წლის 28 დეკემბრიდან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

მამუკა ვასაძე	მოსამართლე, საკვალიფიკაციო პალატის წევრი	279	330
ნინო სანდოძე	მოსამართლე	305	248
ლევან თევზაძე	მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი[42]	266	239

მოსამართლე	**თანამდებობა**	**განაწილებული საქმეების რაოდენობრივი მაჩვენებელი**	
		2022	**2023**
გურჯაანის რაიონული სასამართლო			
ნინო ჩალათაშვილი	მოსამართლე (ყვარლის მაგისტრატი მოსამართლე)	2146	1715
იოსებ აბრამიძე	მოსამართლე (ლაგოდეხის მაგისტრატი მოსამართლე)	2552	1381
გიორგი მთიულიშვილი	მოსამართლე (ლაგოდეხის და ყვარლის მაგისტრატი მოსამართლე)	1857	2086
სიღნაღის რაიონული სასამართლო			
გიორგი ბუხრაშვილი	მოსამართლე, სასამართლოს თავმჯდომარე (იხილავს დედოფლისწყაროს)	1348	1719
ალექსანდრე ლომიძე	მოსამართლე (იხილავს დედოფლისწყაროს)	760	351
ლიკა ბოკერია	მოსამართლე (საგარეჯოს მაგისტრატი მოსამართლე)	2864	3015
სოხუმის და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო			
ლელა ცანავა	მოსამართლე	320	346
თელავის რაიონული სასამართლო			
მარინე ცერცვაძე	მოსამართლე, სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	1142	არ მოგვაწოდეს
თამარ კაპანაძე	მოსამართლე	1037	არ მოგვაწოდეს
მამუკა წიკლაური	მოსამართლე	1074	არ მოგვაწოდეს
გრიგოლ ვატიტაძე	მოსამართლე	863	არ მოგვაწოდეს
ვერიკო ზათიაშვილი	მოსამართლე	1034	არ მოგვაწოდეს

წარმოდგენილი მონაცემები კარგად აჩვენებს, რამდენად დიდია სხვაობა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფ მოსამართლეებსა და სხვა მოსამართლეებს შორის, ამასთანავე, რამდენად დიდია ქვედა ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა დატვირთულობის

[42] ლევან თევზაძე მოსამართლეთა კონფერენციამ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად 2024 წლის 24 მარტს აირჩია.

მაჩვენებლები. ამგვარი რეალობა, ცხადია, გამორიცხავს მოსამართლეთა შორის საქმეთა სამართლიან განაწილებას, მეორე მხრივ კი, მათი დატვირთულობის გონივრულობას, რაც უარყოფითად აისახება მართლმსაჯულების სისწრაფეზე, ეფექტიანობასა და ხარისხზე.

3.2. მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობის განსაზღვრა

საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების სისტემისათვის მნიშვნელოვანია ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის საკითხიც. კონკრეტულ სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციას იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს, ხოლო სპეციალიზაციის შემადგენლობის განსაზღვრა სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებაა. წინა საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია მხოლოდ თბილისის საქალაქო[43] და სააპელაციო სასამართლოებში[44] იყო განსაზღვრული. 2022-2023 წლების მდგომარეობის ანალიზს ართულებს ის ფაქტი, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები 2023 წლის ივნისის შემდგომ აღარ ქვეყნდება. საბჭო ამ გადაწყვეტილებებს არც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში გასცემს. შესაბამისად, უცნობია, განისაზღვრა თუ არა ვიწრო სპეციალიზაცია სხვა სასამართლოებში ან შევიდა თუ არა ცვლილება არსებულში.

რაც შეეხება სასამართლოს თავმჯდომარეების ფუნქციას ვიწრო სპეციალიზაციების შემადგენლობის განსაზღვრაში, არსებული მოწესრიგება მათ ფართო დისკრეციას ანიჭებს და არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას. შედეგად, თავმჯდომარეს, ამ უფლებამოსილების რეალიზებით საქმეთა განაწილების სისტემაზე ზეგავლენის შესაძლებლობა ეძლევა. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს თავმჯდომარეებს კვლავ იუსტიციის უმღლესი საბჭო ნიშნავს. რომ აღარაფერი ითქვას იმ ფაქტზე, რომ საბჭოს წევრი, შესაძლოა, ამავე დროს, სასამართლოს თავმჯდომარეც იყოს და, შესაბამისად, ერთდროულად ჰქონდეს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს როგორც ვიწრო სპეციალიზაციის დადგენაზე, ისე მისი შემადგენლობის განსაზღვრის პროცესზე.

პროექტის გუნდმა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს მიმართა და თავმჯდომარეების მიერ ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე მიღებული ბრძანების ასლები მოითხოვა, 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ორივე სასამართლომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ეს ოფიციალური მიმართვა ყოველგვარი რეაგირების გარეშე დატოვა, შესაბამისად, ამ ინფორმაციის ანალიზი საანგარიშო პერიოდში შეუძლებელი გახდა.

---

[43] საქართველოს იუსტიიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის №1/233 გადაწყვეტილება „თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“.

[44] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილება „თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“.

3.3. საქმეთა განაწილების შეჩერების/სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევები

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით განსაზღვრულია კონკრეტულ მოსამართლეზე საქმეების განაწილების შეჩერების შესაძლებლობა სხვადასხვა საფუძვლით, მათ შორის, შვებულების, ორსულობის, სამსახურებრივი მივლინებისა და დეკრეტული შვებულების საფუძვლებით.[45] ასეთ დროს მოსამართლეზე საქმეთა განაწილება დროებით ჩერდება.

როგორც აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში შეიცვალა დრო (სამსახურებრივი ურთიერთობის არანაკლებ 2 დღით შეჩერება), რომლის განმავლობაშიც მოსამართლეზე საქმეთა განაწილება ჩერდება და ასევე მომენტი, როდესაც განაწილება წყდება (ურთიერთობის შეჩერებამდე 2 ან 3 სამუშაო დღით ადრე, ინსტანციის შესაბამისად). წესის თანახმად, გამონაკლისია, როდესაც სამსახურებრივი უფლებამოსილება მოსამართლეს 1 დღით უჩერდება. ასეთ დროს მასზე საქმეები ჩვეულებრივ ნაწილდება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც გასანაწილებელი საქმეების განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს.[46] მოსამართლეზე საქმეთა შეჩერებას დამატებით იწვევს მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, ან საპენსიო ასაკის მიღწევამდე დარჩენილი 5-თვიანი ვადა, გარდა ისეთი საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა 72 საათს არ აღემატება.[47]

ასევე, მოსამართლის სხვა სასამართლოში დანიშვნისას ან იმავე სასამართლოში სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში გადასვლის შემთხვევაში, მასზე საქმეები არ ნაწილდება საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პერიოდიდან გადაწყვეტილების ამოქმედებამდე.[48]

რაც შეეხება საქმის დროებით სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევებს, ეს ხდება, როდესაც სახეზეა წესით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი და კანონმდებლობით განსაზღვრული კონკრეტული საქმეების განხილვის ვადების დარღვევის საფრთხე არსებობს. საქმის დროებით სხვა მოსამართლისთვის გადაცემის საფუძვლები მოიცავს შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის პერიოდებს, როდესაც მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეზე საპროცესო მოქმედებისთვის დადგენილი ვადა ირღვევა. ასევე, შუამდგომლობის განსახილველად, თუ მისმა განუხილველობამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს მხარის კანონიერ უფლებასა და ინტერესს. გარდა ამისა, წესით გათვალისწინებულია საქმის სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შესაძლებლობა განსაკუთრებული ობიექტური გარემოების შემთხვევაში.[49]

პროექტის გუნდმა, საქმის დროებით სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის თაობაზე, შესაბამისი საფუძვლის მითითებით, საქართველოს მსხვილ სასამართლოებს მიმართა. სასამართლოებმა პასუხად მიუთითეს, რომ ამ მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობას აფასებს და საქმის სხვა მოსამართლისთვის დროებით

---

[45] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.
[46] იქვე.
[47] იქვე.
[48] იქვე.
[49] იქვე.

გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს კანცელარია და ელექტრონული სისტემით შერჩეულ მოსამართლეზე უზრუნველყოფს საქმის დროებით გადაცემას. მათი განმარტებით, სასამართლოები შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას დამატებით არ ამუშავებენ.[50] საქართველოს უზენაესი სასამართლოს[51] ცნობით, საანგარიშო პერიოდში საქმის სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევა მათთან არ გამოკვეთილა.

რაც შეეხება განსაკუთრებული ობიექტური გარემოების განმარტებას, რუსთავის საქალაქო სასამართლოს განმარტებით,[52] „განსაკუთრებული ობიექტური გარემოების“ შეფასებისას მხედველობაში მიიღება საქართველოს სისხლის სამართლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით[53] გათვალისწინებული სტანდარტები, რომელთა არსებობაც თავად საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ ფასდება. მათივე განმარტებით, მოქმედი წესი არ ითვალისწინებს სასამართლოს რომელიმე თანამდებობის პირის მხრიდან უფლებამოსილებას, შეამოწმოს მოსამართლის მიერ ობიექტურ გარემოებებად მიჩნეული საფუძვლის არსებობა და უარი უთხრას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, საქმე დროებით სხვა მოსამართლეს გადაეცეს. იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმეზე გრძელდება სამართალწარმოება და დროებითი გადაცემის მიზეზიც აღმოიფხვრება, საქმე ძირითად განმხილველ მოსამართლეს უბრუნდება. უშუალოდ სისხლის საამართლის საქმის დროებით სხვა მოსამართლეზე გადასაცემად, ელექტრონული სისტემა შემთხვევითად შეარჩევს სათადარიგო მოსამართლეს, რომელსაც სასამართლოს თავმჯდომარე ადასტურებს, ნიშნავს სათადარიგო მოსამართლედ და საქმე დროებით მას გადაეცემა. კონკრეტული საპროცესო მოქმედების შემდეგ კი, საქმე განსახილველად ძირითად მოსამართლესთან ბრუნდება.

„განსაკუთრებული ობიექტური გარემოების“ ამგვარი განმარტება ნაწილობრივ პასუხობს ტერმინის განუსაზღვრელობით გამოწვეულ ბუნდოვანებას. გარდა ამისა, რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილი კონკრეტული სასამართლოს ინდივიდუალური მიდგომაა და კვლავ უცნობია, რითი ხელმძღვანელობენ საქართველოს საერთო სასამართლოები ტერმინის ცხადი განმარტების არარსებობის პირობებში.

3.4. მოსამართლის აცილება/თვითაცილება

საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემის კიდევ ერთი პრობლემა მოსამართლის აცილების/თვითაცილების შემთხვევაში საქმის ხელახალი განაწილების რეგულირებაა. წესის თანახმად, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოსამართლის აცილების/თვითაცილების, ასევე, ობიექტური მიზეზებით მის მიერ საქმის განხილვის შეუძლებლობისას, საქმე ნაწილდება ამ მოსამართლის მონაწილეობის გარეშე, საბჭოს №1/56

[50] მაგალითისათვის, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №76 წერილი; ფოთის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №75 წერილი; გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 23 თებერვლის №77 წერილი.

[51] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 11 აპრილის წერილი №3-162-24.

[52] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 2 მარტის №421/გ წერილი.

[53] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

გადაწყვეტილების მე-4 მუხლით დადგენილი წესით. თუმცა გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებულ მკაფიო პროცედურულ მოწესრიგებას არ ითვალისწინებს.

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი აცილების/თვითაცილების წესი ამ პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის ჩართულობას ითვალისწინებს, რაც ასევე პრობლემურია. კერძოდ, საქმე ეგზავნება თავმჯდომარეს, რომელიც ასევე ბუნდოვანი პროცედურის თანახმად, მას განსახილველად გადასცემს სხვა მოსამართლეს/შემადგენლობას.[54]

შედეგად, ამგვარი ბუნდოვანი მოწესრიგება საქმის განხილვიდან მოსამართლის დაუსაბუთებლად აცილების/თვითაცილების შესაძლებლობას ქმნის და მის საქმიანობაზე არასათანადო ზემოქმედების რისკებს შეიცავს.

საანგარიშო პერიოდში მოსამართლის აცილების/თვითაცილების მოწესრიგების თაობაზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად, სასამართლოები მიუთითებენ, რომ ასეთ შემთხვევაში, საქმეს, ამ მოსამართლის მონაწილეობის გარეშე, საპროცესო კანონმდებლობითა და საბჭოს №1/56 გადაწყვეტილებით დადგენილი წესით ანაწილებს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი, დაუყოვნებლივ, შემთხვევითი განაწილების პრინციპით.[55]

ამბროლაურისა და საჩხერის რაიონული სასამართლოების განმარტებით, ვინაიდან თითოეულში სამოსამართლო უფლებამოსილებას მხოლოდ 1 მოსამართლე ასრულებს, მოსამართლის თვითაცილების/აცილების შემთხვევაში, საქმე დაუყოვნებლივ ეგზავნება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, საქმის სხვა საქალაქო/რაიონული სასამართლოსთვის გადასაცემად.[56]

3.5. მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრა

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემურია საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის დაკომპლექტების წესი. კერძოდ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში ამგვარ შემადგენლობას განსაზღვრავს სასამართლოს თავმჯდომარე, საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით.[57] რაც შეეხება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებს, კოლეგიური განხილვისას ელექტრონული სისტემის საშუალებით საქმე შემთხვევითად ნაწილდება თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე.[58] თუმცა კანონმდებლობა კოლეგიის დანარჩენი მოსამართლეების არჩევის წესსა და პროცედურაზე არაფერს ამბობს.

---

[54] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 62, 65; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 34.

[55] მაგალითისთვის, გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 29 თებერვლის №37 წერილი; ასევე, სენაკის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №124 წერილი; ასევე, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №75 წერილი.

[56] ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №76 წერილი; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი მარტის №865 წერილი.

[57] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4, პუნქტი 7.

[58] იქვე, მუხლი 4, პუნქტი 9.

გამონაკლისად რჩება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, სადაც საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა შემთხვევითად არჩევს დიდი პალატის შემადგენ-ლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეებს, საქმის თავდაპირველი განმხილველი მოსამართლეებისა და სხდომის თავმჯდომარის/მომხსენებელი მოსამართლის გათვალისწინებით.[59]

პროექტის გუნდმა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებს აქ მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის მიერ საქმის განხილვისას მომხსენებელი მოსამართლისა და კოლეგიური შემადგენლობის დანარჩენი მოსამართლეებით დაკომპლექტებისას შერჩევის საფუძვლის, პროცედურისა და ამ პროცედურაზე უფლებამოსილი პირის თაობაზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა. როგორც უკვე აღინიშნა, ქუთაისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებს პროექტის გუნდისთვის საჯარო ინფორმაცია საერთოდ არ მოუწოდებიათ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით კი, აქ საქმე ელექტრონულად ნაწილდება ერთ მოსამართლეზე და განაწილებულ საქმეზე კონკრეტული მოსამართლე მიიჩნევა მომხსენებლად. რაც შეეხება მყარი შემადგენლობის განსაზღვრას, ბრძანებით ან სხვა სამართლებრივი აქტის ეს დარეგულირებული არ არის.[60]

3.6. ელექტრონული სისტემის დროებით შეფერხება

საანგარიშო პერიოდში უცვლელად შენარჩუნდა საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას, საქმეთა რიგითობის წესით განაწილების მომწესრიგებელი რეგულირება. კერძოდ, შეფერხების შემთხვევაში საქმეთა განაწილების (საქმეების შემოსვლის რიგითობისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით) შესაძლებლობას ადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. მისი კონკრეტული მოწესრიგება კი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/56 გადაწყვეტილებით განისაზღვრება.

კერძოდ, სასამართლოს კანცელარიის უფლებამოსილი თანამშრომელი საქმეებს რიგითობით აწილებს იმ შემთხვევაში, თუკი ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა 2 დღეს აღემატება. საქმეთა განაწილების წესი ასევე ითვალისწინებს დამატებით საგამონაკლისო შემთხვევებს: ა) როდესაც არსებობს დაუყოვნებლივ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე; ან ბ) შემოსული საქმის განხილვის ვადა 24, 48, ან 72 საათია, შეფერხების ვადა კი სამ საათს აღემატება.[61]

ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების აღმოფხვრას უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი/ელექტრონული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი. სისტემის შეფერხებასა და მის აღმოფხვრაზე ინფორმაცია კი

[59] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4, პუნქტი 10.

[60] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 11 აპრილის №3-162-24 წერილი.

[61] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 6, პუნქტი 3.

დამატებით ასევე ეცნობება შესაბამისი სასამართლოს ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს.[62]

საქმეთა განაწილების ამგვარი წესი პრობლემურია რამდენიმე მიმართულებით. კერძოდ, ორგანული კანონის თანახმად, საქმეთა რიგითობით განაწილება გულისხმობს, ერთი მხრივ, საქმეების შემოსვლის რიგითობის, მეორე მხრივ კი - მოსამართლეთა რიგითობის დადგენას. თუმცა, რამდენადაც, ეს განაწილება ელექტრონული სისტემის მეშვეობით არ ხდება და თავად წესის არსებობის საჭიროება, ძირითადად, დროში სწრაფად განსახილველ საქმეებს უკავშირდება, სამართლებრივი რეგულირების მკაფიოდ გაწერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. აქვე პრობლემურია თავად სასამართლოს კანცელარიის, როგორც საქმეთა განაწილების სისტემაში ჩართული ერთეულის, ანგარიშვალდებულების ნაკლებობის საკითხიც. შესაბამისად, ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, აუცილებელია იყოს გამართული და თანმიმდევრული სამართლებრივი ჩარჩო, რათა შეფერხების გამოვლენის შემთხვევაში, მკაფიოდ განისაზღვროს საქმეთა განაწილების პროცედურა და სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილებებისა და ანგარიშვალდებულების საკითხები.

ანგარიშზე მუშაობის პერიოდში, პროექტის გუნდმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საანგარიშო პერიოდში საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის შეფერხებების რაოდენობისა და ამ შეფერხებებისას რიგითობის წესით განაწილებული საქმეების რაოდენობის შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა. როგორც აღინიშნა, ამ მოთხოვნაზე საბჭოს არანაირი წერილობითი თუ ზეპირი რეაგირება არ ჰქონია.

3.7. საქმეთა განაწილების სისტემის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უწყებაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დეპარტამენტის თავმჯდომარეს საბჭო კონკურსის საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს.[63] აგრეთვე, მენეჯმენტის დეპარტამენტის დაკომპლექტებისა და საქმიანობის წესიც საბჭოს რეგლამენტით განისაზღვრება.

დეპარტამენტის ფუნქციებში, მათ შორის, შედის საქმეთა განაწილების პროგრამის ფუნქციონირების ზედამხედველობა, არსებული ინფორმაციის ანალიზი და საბჭოსთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენაც.[64] რაც შეეხება უშუალოდ საქმეთა განაწილების სისტემის ფუნქციონირებაში მონაწილეობას, სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტი უზრუნველყოფს: ა)მოსამართლეთა შესაბამის სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში რეგისტრაციას, რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების, შესწორების ან დამატების შეტანას, ასევე, რეგისტრაციის მონაცემების გაუქმებას; ბ) მოსამართლის შვებულების, მივლინებისა და დროებით შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში ასახვას.[65]

---

[62] იქვე, მუხლი 6, პუნქტი 5.

[63] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 56[2]

[64] იქვე, მუხლი 56[1]

[65] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 7.

საანგარიშო პერიოდში საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ 2023 წლის აგვისტოდან მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარედ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ზაზა ხარებავა აირჩია, რომელიც მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან დაახლოებული პირია. კერძოდ, ხარებავა 2017-2021 წლებში საქართველოს პარლამენტის მიერ იყო არჩეული იუსტიციის უმაღლესი საბჭო წევრად. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მისი კანდიდატურა პარლამენტს არაუფლებამოსილმა სუბიექტმა წარუდგინა. შესაბამისად, სამოქალაქო სექტორი მისი უფლებამოსილების შეწყვეტას მოითხოვდა, თუმცა უშედეგოდ.[66] ამასთანავე, როგორც ჟურნალისტური გამოძიებით გაირკვა, ხარებავას ახლო კავშირი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სანქცირებულ მოსამართლესთან - ირაკლი შენგელიასთან. ამ კავშირის მიუხედავად, მას ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე არ განუცხადებია და მხარი დაუჭირა კიდევ შენგელიას მოსამართლედ არჩევას.[67]

3.8. საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში ზეგავლენის მოხდენის რისკები

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობაზე არასათანადო გავლენების რისკების მინიმუმამდე შემცირებაა, თუმცა როგორც სისტემის სამართლებრივი მოწესრიგების ანალიზიდან ირკვევა, ის ამას ვერ უზრუნველყოფს. კერძოდ, ბუნდოვანია როგორც სასამართლოს თავმჯდომარეების, ისე სასამართლოების კანცელარიებისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის როლი, უფლებამოსილებები და მათი საქმიანობის პროცედურული მოწესრიგება.

სასამართლოს თავმჯდომარეებთან მიმართებით, ერთ-ერთი პრობლემური საკითხი ის არის, რომ მათ მიერ საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში მისაღები გადაწყვეტილებებისთვის კანონმდებლობა სათანადო პროცედურულ ჩარჩოს ან ბუნდოვნად განსაზღვრავს, ან საერთოდ არ ადგენს, თავად გადაწყვეტილებები კი დასაბუთებას არ საჭიროებს. ამასთანავე, თავმჯდომარეებს არა მოსამართლეები, არამედ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს. თავად საბჭოში არსებული არაფორმალური გავლენების გათვალისწინებით კი, ასეთი მოწესრიგება თავმჯდომარეების საშუალებით ინდივიდუალურ მოსამართლეებზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის. საბჭოსა და სასამართლოს თავმჯდომარეების მჭიდრო კავშირები სამოქალაქო სექტორის კრიტიკის საფუძველი წარსულშიც მრავალჯერ გამხდარა. ამასთან, თავმჯდომარეები არიან ის ერთ-ერთი კატეგორია, რომელთა კეთილსინდისიერების მექანიზმით შემოწმება ევროკომისიის 2023 წლის რეკომენდაციებით არის განსაზღვრული.[68]

---

[66] პარლამენტის თავმჯდომარისადმი კოალიციის მიმართვა ზაზა ხარებავას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, 19 მაისი, 2019, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/legBgWFw; წვდომის თარიღი: 30.06.2024).

[67] დაამტკიცეს თუ არა კანონდარღვევით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ზაზა ხარებავა, ნეტგაზეთი, 24 აპრილი, 2019, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/MednhimA ;წვდომის თარიღი: 30.06.2024).

[68] Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report Accompanying the document, Brussels, 8.11.2023 SWD(2023) 697 final, გვ. 22-23, გვ. 20-21.

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემაში სასამართლოს თავმჯდომარეთა პრობლემურ უფლებამოსილებებს შორის კვლავ არის:

- თავმჯდომარეთა მიერ მოსამართლის დატვირთულობის ბუნდოვანი საფუძვლებით გაზრდისა და შემცირების უფლებამოსილება
- მორიგეობის დადგენისა და მასში ცვლილებების დაუსაბუთებლად, გაუმართავი პროცედურით შეტანის უფლებამოსილება
- ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრისა და ცვლილების უფლებამოსილება ნათლად დადგენილი პროცედურის გარეშე
- მოსამართლეთა თვითაცილების/აცილების დროს თავმჯდომარეთა ბუნდოვანი ჩართულობა
- კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრის პროცესში თავმჯდომარეთა მონაწილეობა.

რაც შეეხება სასამართლოს კანცელარიასა და მენეჯმენტის დეპარტამენტის როლს საქმეთა ელექტრონულად განაწილების პროცესში, როგორც აღინიშნა, სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემებისა და კონტექსტის გათვალისწინება, ამ საკითხშიც მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, კანცელარიის საქმიანობის პროცესის ბუნდოვანი მოწესრიგება და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა, მეორე მხრივ კი, მენეჯმენტის დეპარტამენტის ფუნქციები და მისი დაკომპლექტების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი კვლავ ტოვებს საქმეთა განაწილების სისტემაზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენისა და ამ გზით მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობასა და საქმიანობაში ჩარევის რისკებს.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ საქმეთა შემთხვევითი და თანაბარი განაწილების შესახებ ამ დრომდე მიღებული აქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმეთა ელექტრონული წესის დახვეწა აღარ არის პრიორიტეტი. შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოების ერთიანი ხედვა ამ მიმართულებით არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ სისტემური პრობლემები სამოქალაქო სექტორმა დიდი ხანია გამოავლინა და საქმეთა ელექტრონული განაწილების მომწესრიგებელი კანონმდებლობის გაუმჯობესება ევროკომისიის 2023 წელს გაცემული რეკომენდაციების ერთ-ერთი ნაწილიც გახდა. ამასთანავე, კიდევ უფრო გაუარესდა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სტანდარტები და იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულად უარს აცხადებს ნებისმიერი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, ისევე როგორც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ვებგვერდზე გამოქვეყნებაზე. ეს სისტემას უკიდურესად ჩაკეტილს ხდის და მნიშვნელოვნად ართულებს მისი სრულფასოვანი მონიტორინგის შესაძლებლობას. ბოლოს, კვლავ ბუნდოვანი და პრობლემურია საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემაში მონაწილე ორგანოებისა და სასამართლოს ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი პირების უფლებამოსილებები. ეს კი საფრთხეს უქმნის ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებელ საქმიანობას და ინდივიდებისთვის მიუკერძოებელ და გამართულად ფუნქციონირებად მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

შესაბამისად, სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად, აუცილებელია, გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- უმნიშვნელოვანესია, საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით არსებულ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების არსებული სტანდარტების დაცვა უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან, ასევე მათი შემდგომი გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს სისტემის გამჭვირვალობას და მასში მონაწილე უფლებამოსილი ორგანოებ ის/თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულებას
- აუცილებელია, საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ერთობლივად და პრიორიტეტულად გადადგან იმგვარი ქმედითი ნაბიჯები საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩოს დასახვეწად, რომლებიც უპასუხებს აქამდე გამოვლენილ სისტემურ გამოწვევებს, მინიმუმამდე დაიყვანს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობაზე არასათანადო გავლენის რისკებს და მიესადაგება რელევანტურ საერთაშორისო სამართლებრივ რეკომენდაციებს
- საქმეთა ელექტრონულად განაწილების წესის სრულყოფილად ასამოქმედებლად, აუცილებელია, საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა სათანადო რაოდენობის უზრუნველყოფა და საქმეთა ეფექტიანი მენეჯმენტის სისტემის დანერგვა

- საჭიროა მოსამართლეთა მივლინების წესის გაუმჯობესება ვენეციის კომისიის უახლესი რეკომენდაციების შესაბამისად, რაც შეამცირებს კონკრეტულ მოსამართლეებზე კონკრეტული საქმეების განაწილების ან განაწილებისგან თავის არიდების დღეს არსებულ რისკებს
- მნიშვნელოვანია, გადაიდგას ეფექტიანი ნაბიჯები საქმეთა ელექტრონული განაწილებისას მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობის უზრუნველსაყოფად, რაც, მათ შორის, გულისხმობს ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი მოსამართლეების დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებლების ზრდას მათი ადმინისტრაციული ფუნქციების ობიექტური საჭიროებების გათვალისწინებით; ასევე აუცილებელია, საქმეთა განაწილების პროცესში დამატებით საქმის სირთულისა და წონის კრიტერიუმების გათვალისწინება
- აუცილებელია, შეიცვალოს მანკიერი პრაქტიკა, რომელიც გარკვეულ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი მოსამართლეების დატვირთულობის პროცენტული თუ რაოდენობრივი მაჩვენებლების გასაიდუმლოებას გულისხმობს
- სასამართლო სისტემაში დამკვიდრებული კლანურობის მანკიერი პრაქტიკების, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სასამართლოს თავმჯდომარეთა დანიშვნის პირობებში, საჭიროა, მინიმუმამდე შემცირდეს თავმჯდომარეების როლი საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემაში. ამასთანავე, მკაფიოდ განისაზღვროს მათ მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება და ამ უფლებამოსილებათა განხორციელების პროცედურული საფუძვლები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
    - მოსამართლეთა დატვირთულობის მაჩვენებლების ცვლილება
    - მორიგეობის გრაფიკის დადგენა და მასში ცვლილებების შეტანა
    - ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრა
    - კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრა
    - მოსამართლის აცილება/თვითაცილება.